

---

## თავი - 21

---

### ფინანსური ანგარიშების მომზადება

#### **შენაკრძილება**

- ❖ ფინანსური ანგარიშების არსი და მიზანი;
- ❖ ფინანსური ანგარიშების კომპონენტები;
- ❖ ფინანსური ანგარიშების მომზადების საფუძვლები;
- ❖ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება (პალანსი):
  - ◆ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების არსი და მნიშვნელობა;
  - ◆ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების მუხლები;
  - ◆ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების შედგენა;
  - ◆ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების წარსადგენად მომზადებისათვის აუცილებელი პროცედურების გავლა;
- ❖ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშება:
  - ◆ ინფორმაცია რომელიც აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებაში;
- ❖ პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშება:
  - ◆ ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები;
  - ◆ პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშების წარდგენა;
  - ◆ საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების წარდგენა;
- ❖ პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშება;
- ❖ საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა, ახსნა განმარტებები:
  - ◆ საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა;
  - ◆ ახსნა განმარტებები.

## 21 . 1 . ფინანსური ანგარიშების არსები და მიზანი

ფინანსური ანგარიშება წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად შეგროვებულ, დამუშავებულ და მომხმარებლისათვის განსაზღვრული ფორმით მომზადებულ საერთო დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციათა ერთობლიობას.

ფინანსური ანგარიშება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამუშაოების ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი.

ფინანსური ანგარიშების მიზანია, ინფორმაციის მომხმარებლებს დაეხმაროს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ საიმედო ინფორმაციის მიწოდებით.

როგორც წესი ფინანსურ ანგარიშებაში წარმოდგენილია მხოლოდ გასული საანგარიშებო პერიოდის ფინანსური შედეგი. იგი ხშირად არ მოიცავს არაფინანსურ ინფორმაციას. ამიტომ ფინანსური ანგარიშება არ იძლევა მომხმარებლისათვის გადაწყვეტილების მისაღებად ამომწურავ ინფორმაციას, მაგრამ მაინც პასუხობს მომხმარებელთა უმრავლესობის საერთო მოთხოვნებს. მაგალითად, ფინანსური ანგარიშების თითქმის ყველა მომხმარებელს აინტერესებს ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გამომუშავების უნარი. ეს უნარი განსაზღვრავს საწარმოს შესაძლებლობას - დაქირავებულ მუშაკებსა და მომწოდებლებს გადაუხადოს კუთვნილი თანხა, დაფაროს პროცენტები და მიღებული სესხები, ეგრეთვე, მოგება გაუნაწილოს საწარმოს პარტნიორებს.

## 21 . 2 . ფინანსური ანგარიშების პრაკტიკები

ფინანსური ანგარიშების მომხმარებლებს აინტერესებთ ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც, როგორც წესი, მოიცავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომხმარებელს შეუძლია დაადგინოს საწარმოს ფინანსური სტრუქტურა, ლიკვიდობა და გადახდის უნარიანობა, აგრეთვე ეკონომიკური გარემოს ცვლილებებთან შეგუების უნარი. საწარმოს განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსებისა და წარსულში ამ რესურსების გარდაქმნის უნარის შესახებ ინფორმაცია სასარგებლოა იმისთვის, რომ განისაზღვროს საწარმოს მიერ მომავალში ფულისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების წარმოქმნის უნარი. ინფორმაცია ფინანსური სტრუქტურის შესახებ სასარგებლოა იმისთვის, რომ განისაზღვროს მომავალი მოთხოვნა სესხების მიღებაზე და როგორ განაწილდება მომავალი მოგება და ფულადი სახსრები მესაკუთრეთა შორის.

ფინანსური ანგარიშების მომხმარებლებისათვის ასევე საინტერესოა ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შედეგების, განსაკუთრებით კი მისი მომგებიანობის შესახებ. საწარმოს საქმიანობის შედეგი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორიცაა შემოსავლები და ხარჯები. ეს ინფორმაცია სასარგებლოა საწარმოს მფლობელობაში არსებული რესურსების საფუძველზე ფულადი სახსრების გამომუშავების უნარის

პროგნოზირებისათვის. იგი ასევე გამოსადეგია საწარმოს მიერ შესაძლო დამატებითი რესურსების უფასოურად გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად.

ფინანსური ანგარიშების სრული პაკეტი მოიცავს:

#### **ბასი 1-ის „ფინანსური ანგარიშების წარჯგენა“ მახსედვით:**

- ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებას პერიოდის დასასრულისათვის;
- ბ) პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშებას;
- გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშებას;
- დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშებას;
- ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია;
- ვ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებას პირველი შესადარისი პერიოდის დაწყების თარიღის მდგომარეობით, როდესაც ის სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს რეტროსპექტულად, ან ფინანსური ანგარიშების მუხლებს გადაიანგარიშებს რეტროსპექტულად, ან როდესაც საწარმო ცვლის ფინანსური ანგარიშების მუხლების კლასიფიკაციას.

საწარმოს შეუძლია არ გამოიყენოს ამ სტანდარტში გამოყენებული სახელწოდებები ზემოთ ჩამოთვლილი ანგარიშებებისათვის.

ფინანსური ანგარიშება შეიძლება აგრეთვე შეიცავდეს ცხრილურ დანართებსა და სხვა ინფორმაციასაც, რომელიც ემყარება ფინანსურ ანგარიშებას ან გამომდინარეობს მისგან და განიხილება ფინანსურ ანგარიშებასთან ერთად მთლიანობაში. ცხრილები და დამატებითი ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს, მაგალითად, განმარტებით შენიშვნებს.

**სერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშება (უწ. „ფინანსური ანგარიშება“)** – არის ფინანსური ანგარიშება, რომელიც განკუთვნილია იმ მომსმარებელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც მდგომარეობა არ აძლევს იმის საშუალებას, რომ საწარმოს მოსთხოვონ საკუთარი კერძო საინფორმაციო მოთხოვნილებების შესაბამისი ანგარიშების მომზადება.

## **21 . 3 . ფინანსური ანგარიშგების მომზადების საჭურვლები**

ფინანსური ანგარიშების მომზადება უნდა ეყრდნობოდეს უტყუარ და ობიექტურ თვალსაზრისს, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ. უტყუარი და ობიექტური ინფორმაციის წარდგენის შესაძლებლობას იძლევა ინფორმაციის თითოეული ხარისხობრივი მახასიათებლისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (ბასს) გამოყენება.

მცირე საწარმოებისათვის ასეთ სააღრიცხვო სტანდარტად აღიარებულია მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტი (მსს).

ფინანსური ანგარიშება, უტყუარი და ობიექტური წარდგენის თვალსაზრისით, უნდა ეფუძნებოდეს სტანდარტის შესახებ ძირითად მოთხოვნებს:

### საღრიცხვო პოლიტიკის მიმართ:

ზელმძღვანელობამ ისე უნდა შეარჩიოს და გამოიყენოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამებოდეს გამოყენებული სტანდარტის ყველა მოთხოვნას. თუ არ არსებობს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტით დამტკიცებული სათანადო მითითება, საწარმოს ხელმძღვნელობა თითონ შეიმუშავებს ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც მომზმარებელს უზრუნველყოფს ყველაზე აუცილებელი ინფორმაციით საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

### ბასე-ის ძირითადი დაშვების მიმართ:

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მისმა ზელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი. ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, არ არსებობს სხვაგვარად მოქცევის არჩევანი, ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს სხვა ნორმების საფუძველზე.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა.

### ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდების მიმართ:

ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლების კლასიფიკაცია და წარდგენის ფორმა უნდა შენარჩუნდეს ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში.

### არსებითობის მიმართ:

აუცილებელია ყველა არსებითი მუხლის ფინანსურ ანგარიშგებაში განცალკევებით წარდგენა. არაარსებითი თანხები უნდა გაერთიანდნენ ფუნქციების ან შინაარსის ერთგვაროვნების მიხედვით და საჭირო არ არის მათი ცალ-ცალკე წარდგენა.

### ურთიერთგადაფარვის მიმართ:

დაუშვებელია აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა.

### შესადარისობის მიმართ:

ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს მინიმუმ ორ ქრონოლოგიურად თანამიმდევარ საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციას. იგი აუცილებელია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების უკეთ გასაგებად.

### იღენტიფიცირების მიმართ:

ფინანსური ანგარიშგების თითოეული კომპონენტი გარკვევით უნდა იყოს იდენტიფიცირებული. გარდა ამისა ანგარიშგებაში თვალსაჩინოდ უნდა იყოს ფორმულირებული შემდეგი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილი ინფორმაციის სათანადოდ გავების მიზნით, შესაძლებელია ინფორმაციის გამეორება):

- საწარმოს დასახელება ან სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- ბალანსის შედგენის თარიღი ან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული პერიოდი, რომელიც შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის კომპონენტებს;

- გ) საანგარიშო ვალუტა;
- დ) ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი რიცხვების სიზუსტის ხარისხი.

### **პერიოდულობის მიმართ:**

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 12 თვეს. იგი შეიძლება არ ემთხვეოდეს კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უნდა მოხდეს წელიწადში ერთხელ.

## **21 . 4 . ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ანგარიშგების გაღანცენა**

### **21 . 4 . 1 . ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ანგარიშგების ანგარიშგების გაღანცენა**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)** - წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებას, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ გარკვეული პერიოდისათვის. იგი ასახავს საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ოდენობას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

აქტივი არის რესურსი, რომელსაც წარსული მოვლენების შედეგად აკონტროლებს საწარმო და რომლისგანაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა.

ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და მის დასაფარავად მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა.

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

ბუღალტრული ბალანსი, გარდა იმისა, რომ აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით, ცვლილებების შესწავლის საშუალებას იძლევა, უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შესაძლებლობას.

### **21 . 4 . 2 . ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლები**

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ადვილად აღქმის მიზნით, ბალანსი იყოფა ელემენტებად და მუხლებად. ელემენტებად დაყოფას საფუძვლად უდევს ეკონომიკური მახასიათებლები. ამ თვალსაზრისით, ბალანსში გაერთიანებულია, ერთი მხრივ, საწარმოს ეკონომიკური რესურსები და მეორე მხრივ, მათი დაფინანსების წყაროები. ეკონომიკური რესურსები ბალანსში წარმოდგენილია აქტივების სახით. დაფინანსების წყაროები კი – ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის სახით. ბალანსის თითოეულ ელემენტს გაჩნია შესაბამისი მუხლი, რომელიც აერთიანებს შინაარსითა და ფუნქციებით ერთგვაროვან რესურსებსა და წყაროებს.

ბალანსში მუხლების წარდგენას საფუძვლად უდევს სტანდარტით დადგენილი წესები. კერძოდ, ბალანსში აუცილებელია აისახოს ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლების შესაბამისი თანხები:

- ა) ძირითადი საშუალებები;
  - ბ) საინვესტიციო ქონება;
  - გ) არამატერიალური აქტივები;
  - დ) ფინანსური აქტივები ე), თ) და ი) პუნქტებში მოცემული თანხების გარდა;
  - ე) ინვესტიციები, რომელთა ბუღალტრული აღრიცხვა ზდება კაპიტალ-მეთოდით;
  - ვ) ბიოლოგიური აქტივები;
  - ზ) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები;
  - თ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები;
  - ი) ფულადი სახრები და მათი ექვივალენტები;
  - კ) ჯამური თანხა ფასს 5-ის „გასაყიდად გამიზნული კრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ - შესაბამისად გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული აქტივებისა და გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში ჩართული აქტივების;
  - ლ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები;
  - მ) ანარიცხები;
  - ნ) ფინანსური ვალდებულებები (გარდა (ლ) და (მ) პუნქტებში მოცემული თანხებისა);
  - ო) მიმდინარე საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ში „მოვებიდან გადასახდები“:
  - პ) გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ში „მოვებიდან გადასახდები“;
  - ჟ) ფასს 5-ის შესაბამისად გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში შესული ვალდებულებები;
  - რ) არამაკონტროლებული წილი, რომელიც წარმოდგენილია საკუთარ კაპიტალში;
  - ს) გამოშვებული სააქციო კაპიტალი და სათავო საწარმოს მესაკუთრებზე მისაკუთვნებული რეზერვები.
- საწარმომ ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში, ზემოთ ჩამოთვლილი აუცილებელი მუხლების გარდა, უნდა წარმოადგინოს დამატებითი მუხლები, სახელწოდებები და ქვევების ჯამური თანხები იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი წარდგენა აუცილებელია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გასაგებად.

ზემოთ განხილული მუხლები ითვლებიან აუცილებელ საბალანსო მუხლებად, რადგან მათი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახვა სავალდებულოა. მათ გარდა შესაძლებელია არსებობდეს სხვა ინფორმაცია, რომლის ასახვის თვალსაზრისით, საჭიროა წინასწარი მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, ინფორმაცია აისახოს უშუალოდ ბალანსში, თუ განმარტებით შენიშვნებში.

საწარმოს, თავისი სამეურნეო ოპერაციებიდან გამომდინარე, შეუძლია შეცვალოს საბალანსო მუხლების ჩამონათვალი და თანამიმდევრობა, რათა სრულყოფილად წარადგინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. აუცილებელი

სბალანსო მუხლების კორექტირების მიზნით, საჭიროა ობიექტურად შეფასდეს აქტივებისა და ვალდებულებების შინაარსი, ფუნქციები, ლიკვიდობა და არსებითობა.

ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, პრაქტიკაში მიღებულია აქტივებისა და ვალდებულებების დაჯგუფება ვადის მიხედვით. კერძოდ, აქტივები იყოფა გრძელვადიან და მიმდინარე აქტივებად. ვალდებულებები კი – გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებად. თუმცა აქტივებისა და ვალდებულებების ასეთი დაჯგუფება შეიძლება არ იქნას გამოყენებული ყველა საწარმოს მიერ.. ყოველმა საწარმომ, თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, თვითონ უნდა გადაწყვიტოს, განცალკავებულად ასახოს, გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივები და გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები, თუ აქტივები და ვალდებულებები წარმოადგინოს ლიკვიდობის ზრდის და კლების მიხედვით.

გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების ცალ-ცალკე კლასიფიცირება და ბალანსში ასახვა სასარგებლოა იმით, რომ ერთმანეთისაგან გამოყოფს ნეტო აქტივებს, რომლებიც მუდმივად იმყოფებიან მიმოქცევის პროცესში საბრუნავი კაპიტალის სახით, იმ ნეტო აქტივებისაგან, რომელთაც საწარმოში იყენებენ გრძელვადიანი საქმიანობისათვის. ამასთან აშკარად გამოიკვეთება ის აქტივები, რომელთა გამოყენებაც ივარაუდება მოცემულ საწარმოო ციკლში და ის ვალდებულებები, რომლებიც უნდა დაიფაროს იმავე პერიოდში.

ინფორმაცია აქტივებისა და ვალდებულებების გადახდის ვადების შესახებ სასარგებლოა საწარმოს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

## მიმღებარე აქტივები

აქტივებისა და ვალდებულებების ვადის შესაბამისად დაჯგუფების მიზნით, გამოიყენება შესაბამისი განმარტება. კერძოდ, საწარმომ აქტივი მიმღებარე აქტივები უნდა მიიჩნიოს თუ:

- ნავარაუდებია აქტივის რეალიზაცია, ან გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისათვის ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან მისი ეკვივალენტები (განსაზღვრული პასს 7-ით „ფულადი სახსრების ანგარიშგება“), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულებების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც;

შემდეგ სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს.

მოცემულ შემთხვევაში ცნება გრძელვადიანი აქტივები გულისხმობს ყველა გრძელვადიან მატერიალურ, არამატერიალურ, საწარმო და ფინანსურ აქტივს, რომლებიც გამოიყენებიან გრძელვადიანი დანიშნულებით.

საწარმოო ციკლი - გულისხმობს დროის იმ მონაკვეთს, რომელიც იწყება წარმოებისათვის საჭირო ნედლეულისა და მასალების შეძენით და მთავრდება მზა პროდუქციის გაცვლით

ნაღდ ფულზე ან ფულის ეკვივალნტზე. როდესაც საწარმოს ჩვეულებრივი საწარმოო ციკლი ზუსტ განსაზღვრას არ ექვიმდებარება, იგულისხმება, რომ იგი შეადგენს ოორმეტ თვეს. მიმდინარე აქტივები მოიცავს აქტივებს (როგორიცაა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობები და სავაჭრო მოთხოვნები), რომლებიც გაყიდული, მოხმარებული ან რეალიზებულია, როგორც ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის შემადგენილი ნაწილი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი რეალიზაცია მოსალოდნელი არ არის საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვეში.

### მოკლევადიანი ვალდებულებები

საწარმომ ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად უნდა მიიჩნიოს თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში;
- მირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. ვალდებულების სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც კონტრაგენტს არჩევანის უფლებას აძლევს, ანგარიშსწორება აწარმოოს წილობრივი ინსტრუმენტებით, გავლენას არ ახდენს მის კლასიფიკაციაზე.

ყველა სხვა ვალდებულება ითვლება გრძელვადიან ვალდებულებად.

### 21 . 4 . 3 . ფინანსური მდგრადირების ანგარიშგების შედგენა

ფინანსური ანგარიშგებისადმი დადგენილი მოთხოვნების გათვალიწინებით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იწყებოდეს შემდეგი საცნობარო ინფორმაციით: საწარმოს დასახელება; ანგარიშგების დასახელება; შედგენის (საბალანსო) თარიღი; საანგარიშგებო ვალუტა და რიცხვების სიზუსტის ხასიათი.

როგორც წესი, ბუღალტრულ ბალანსებს, გარეგნული შეხედულების თვალსაზრისით, გააჩნიათ გერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმა. ვერტიკალური ფორმის ბალანსი იწყება აქტივებით და გრძელდება ვალდებულებებითა და საკუთარი კაპიტალით. ჰორიზონტალური ფორმის ბალანსი შენაარსით იგივეა, იმ თავისებურებებით, რომ აქტივი მოცემულია, ორ ნაწილად გაყოფილი გვერდის, მარცხენა მხარეს, მარჯვენა მხარე კი ეთმობა ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს.

პრაქტიკაში ასევე გვხვდება ბალანსის მუხლების განლაგების განსხვავებული თანმიმდევრობა, თუმცა, ყველა შემთხვევაში, ბალანსის მუხლების განლაგებას საფუძვლად მათი ლიკვიდობა უდევს. ზოგჯერ იყენებენ მუხლების განლაგების პრაქტიკას ლიკვიდობის ზრდის მიხედვით, ზოგჯერ კი ლიკვიდობის კლების მიხედვით. მაშინ, როდესაც ლიკვიდობის ზრდას ენიჭება უპირატესობა, ბალანსის მუხლები იწყება ნაკლებლიკვიდური მუხლებით და მთავრდება სწრაფლიკვიდური მუხლებით. თუ ბალანსის შედგენისას უპირატესობას ანიჭებენ მუხლების განლაგებას ლიკვიდობის კლების მიხედვით, მაშინ ბალანსი იწყება სწრაფლიკვიდური მუხლებით და მთავრდება ნაკლებლიკვიდური

მუხლებით. ბასს-ის საფუძველზე დასაშვებია ბალანსის წარდგენა, როგორც ლიკვიდობის ზრდის, ისე მისი შემცირების მიხედვით.

ბასს-ი მოითხოვს საბალანსო მუხლების ქვეჯგუფებად დაყოფას და მათი დასახელებებისა და თანხების გამოყოფილად მითითებას. ქვეჯამებით გამოყოფა ნიშნავს მათი ისეთი ფორმით წარდგენას, რომ ადვილი იყოს მათი შემჩნევა. ამ მიზნით, გამოიყენება ქვეჯამების ცალკე სეტში ჩაწერის პრაქტიკა. თანხა ქვეჯამს რომ წარმოადგენს, ამას დამატებით მიუთითებს მოცემულ ქვედანაყოფში შემავალი, ბოლო მუხლის თანხის ქვეშ გასმული ერთი ხაზი. საერთო ჯამი კი მინიშნებულია თანხის ქვეშ ორი პარალელური ხაზით. აღნიშნულის ნათელსაყოფად, ქვემოთ მოტანილია საილუსტრაციო ბალანსის ნიმუში.

### შპს „იმედი“

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება 20X2 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით**

(ათასი ლარი)

**201X                    201X**

#### აქტივები

##### გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	X	X
არამატერიალური აქტივები	X	X
სხვა ფინანსური აქტივები	<u>X</u>	X

**X                    X**

#### მიმღინარე აქტივები

სასაქონლო-მატერიალური ფასულობა	X	X
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	X	X
ავანსები	X	X
ფულადი სახსრები და მათი ექივალენტები	<u>X</u>	X

**X                    X**

#### სულ აქტივები

**X                    X**

#### საკუთარი კაპიტალი და კალდებულებები

##### კაპიტალი და რეზერვები

საწესდებო კაპიტალი	X	X
რეზერვები	X	X
აქუმულირებული მოგება (ზარალი)	<u>X</u>	X

**X                    X**

#### გრძელვადიანი გაღდებულებები

პროცენტიანი სესხები	X	X
გადავადებული გადასახადები	X	X
ანარიცხები	<u>X</u>	X

**X                    X**

#### მოკლევადიანი გაღდებულებები

სავაჭრო და სხვა კალდებულებები	X	X
მოკლევადიანი სესხები	<u>X</u>	X

**X                    X**

#### სულ საკუთარი კაპიტალი და კალდებულებები

**X                    X**

საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ობიექტური სურათის შესაქმნელად, საკმარისი არ იქნება მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელსაც ზემოთ მოტანილი ბალანსი ასხავს. მომხმარებელს აინტერესებს უფრო დეტალური ინფორმაცია, რაც ზოგიერთი საბალანსო მუხლის გაშლას მოითხოვს. მაგალითად მომხმარებლისათვის საინტერესოა მატერიალური აქტივების, მოთხოვნების, მარაგის, საკუთარი კაპიტალისა და სხვა მუხლების სტრუქტურა. შესაბამისად, ფინანსურმა ანგარიშგებამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მომხმარებლის მოლოდინის შესრულება. ამის მიღწევა შესაძლებელია ორი გზით. საწარმომ ეს ინფორმაცია უნდა გახსნას უშუალოდ ბალანსში ან განმარტებით შენიშვნებში.

როგორც ბუღალტრული აღრიცხვის, ისე ბალანსის შედგენის მიზნით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია შეფასება. ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდი, სხვადასხვა ხარისხითა და კომბინაციით. შეფასების ეს მეთოდები, აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით, შემდეგი შინაარსის მატარებელია. საწარმო ვალდებულია, შეარჩიოს თვისი საბალანსო პოლიტიკა და შესაბამისობის და შესადარისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, იხელმძღვანელოს მუდმივობის პრინციპით.

### **საილუსტრაციო მავალითი:**

**კომპანია „X“-ის მიერ საბალანსო მუხლების შეფასების მეთოდი**

<b>ბალანსის მუხლი</b>	<b>შეფასება ბალანსში ასახვის მიზნით</b>
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>	
ძირითადი საშუალებები	თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.
არამატერიალური აქტივები	თვითღირებულების თანხით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აუზულირებული ამორტიზაციის თანხით
გრძელვადიანი ინვესტიციები	თვითღირებულებით
<b>მოქმედვადიანი აქტივები</b>	
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით
სავაჭრო მოთხოვნები	თვდაპირველი ღირებულების ნაშთით, საუკეთესო მოთხოვნების გამოკლებით
სხვა მოთხოვნები	თავდაპირველი ღირებულებით
მოქმედვადიანი ინვესტიცია	ინვესტიციის საბაზრო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	
სესხები	მიმდინარე ღირებულებით
<b>მოქმედვადიანი ვალდებულებები</b>	
სავაჭრო ვალდებულებები	მიმდინარე ღირებულებით
მოქმედვადიანი სესხები	მიმდინარე ღირებულებით
საგარანტიო ანარიცხები	იმ დანახარჯების საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა მიმდინარე მოვალეობის შესასრულებლად ბალანსის შედგენის თარიღისათვის

## 21 . 4 . 4 . ფინანსური მდგრადმარტინის ანგარიშების ფარსაღგნერალ მომზადებისათვის აუცილებელი პროცედურების გავლა

1. ბალანსის შედეგების თარიღამდე მომხდარი ოპერაციებიდან გამომდინარე ბუღალტრულ ანგარიშებზე ნაშთების დაზუსტება;
2. საბალანსო ნაშთების ბუღალტრული შეფასება ბალანსში ასახვის მიზნით;
3. საცდელი ბალანსის შედეგენა;
4. ანგარიშების დახურვისა და დასკვნითი ოპერაციების გატარება;
5. საბალანსო ნაშთების აგრერირება და ბალანსის მუხლების ჩამოყალიბება;
6. შენიშვნების მომზადება აგრერირებული მუხლების ინფორმაციის გასახსნელად;
7. განმარტებითი შენიშვნების ჩამოყალიბება.

პირველი პუნქტის შენიშვნები ითვალისწინებს სააღრიცხვო დოკუმენტებზე დაყრდნობით ბუღალტრული გატარებების დასრულებას და ანგარიშების მიხედვით შუალედური შედეგის გამოყვანას. აქ იგულისხმება: რეალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე დარიცხვების განხორციელება; ინდივიდუალური ნაშთების შედარება საკონტროლო ანგარიშებთან; მატერიალური რესურსების ინვენტარიზაციის შედეგების შედარება ბუღალტრულ ჩანაწერებთან; დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების კლიენტებთან და მომხმარებლებთან შედარება-დადასტურება და სხვა პროცედურები.

მეორე პუნქტის მიხედვით, საწარმო ახდენს ნაშთების ანალიზსა და შეფასებას, ბალანსში წარდგენის წესების დაცვისა და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინების მიზნით. ამ ეტაპზე ხდება, მაგალითად, მარაგის საბალანსო შეფასების დადგენა; უცხოური ვალუტის და უცხოური ვალუტით აღრიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეფასება ბალანსის შედეგის თარიღისათვის არსებული კურსით; კლიენტის მიერ სასამართლოში აღძრულ სარჩელზე მოსალოდნელი გასავლების დადგენა. ანარიცხების შეფასება და სხვ. ყოველივე ამის საფუძველზე, აუცილებელია ბუღალტრული ჩანაწერების განხორციელება ბუღალტრულ ანგარიშებში.

მესამე პუნქტის მიხედვით, საწარმო ადგენს საცდელ ბალანსს იმ ფორმატით, რომელიც მოსახერხებელი იქნება დამატებითი ოპერაციების ჩაწერის შემდეგ ბალანსის და მოგებისა და ზარალის ანგარიშების შესადგენად.

მეოთხე პუნქტი ითვალისწინებს დამატებითი ბუღალტრული ოპერაციების ჩაწერას ანგარიშებში, რომელიც აუცილებელია შემოსავლებისა და ხარჯებისათვის. იგი მოიცავს: მოგების გამოანგარიშებას; დასაბეგრი მოგების დადგენას და გადასახადების დარიცხვას; გადავადებული გადასახადების შეფასებასა და დაზუსტებას. ასევე დასკვნითი ჩანაწერების გაკეთებას ბუღალტრულ ანგარიშებზე.

მეხუთე პუნქტი ითვალისწინებს საბალანსო ნაშთების დაჯგუფებას, საბალანსო მუხლებად აგრერირების მიზნით. მაგალითად სხვადასხვა ანგარიშებზე ნაშთად არსებული ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჯამის დადგენას.

მეექვსე პუნქტის მიხედვით საწარმო ამზადებს დამატებით ინფორმაციას, რომელიც, ბალანსის ინფორმაციის აღქმადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია აისახოს უშუალოდ

ბალანსში ან ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, ინფორმაციის გახსნა აგრერირებული საბალანსო მუხლების სტრუქტურის შესახებ.

მეშვიდე პუნქტი ითვალისწინებს იმ ინფორმაციის მომზადებას, რომელიც უნდა აისახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებაში ბუღალტრულ ბალანსთან მიმართებაში.

ავილოთ საბალანსო მუხლებად აგრერირებისათვის შედგენილი საცდელი ბალანსი

## საკულტო ბალანსი

## 20X2 წლის 31 დეკემბრისათვის

	დღეს	კრედიტი
1. ეროვნული ვალუტა სალაროში	200	
2. ეროვნული ვალუტა ბანკში	5.200	
3. აშშ. დოლარი ბანკში (2.300)	4.186	
4. მოკლუვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასია ქაღალდებში	1.950	
5. სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებები	10.000	
6. მოთხოვები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	15.000	
7. საეჭვო მოთხოვების კორექტირება		2.300
8. მოთხოვები პერსონალთან საქვეარიშო თანხებზე	145	
9. მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	5.000	
10. საქონელი	5.980	
11. ნებლუვული და მასალები	2.345	
12. დაუმთავრებელი წარმოება	1.350	
13. მზა პროდუქცია	1.380	
14. წინასწარგადახდილი საიჯარო ქირა	700	
15. მისაღები დივიდენტი	1.200	
16. მისაღები პროცენტები	525	
17. შენობები	23.670	
18. მანქანა-დანადგარები	7.550	
19.. ოფისის აღჭურვილობა	1.650	
20. სატრანსპორტო საშუალებები	2.560	
21. შენობების ცვეთა		12.800
22. მანქანა-დანადგარების ცვეთა		3.490
23. ოფისის აღჭურვილობის ცვეთა		780
24. სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა		1.580
25. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	1.000	
26. გადავადებული საგადასახადო აქტივი	470	
27. მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებ.		15.790
28. მიღებული ავანსები		3.600
29. გადასახდელი ხელფასები		1.720
30. მოკლევად. სესხები აშშ. დოლარებში (10000)		18.200
31. გადასახდელი ვალდებულებები		3.344
32. გადასახდელი პროცენტები		1.515
33. გრძელვადიანი სესხები		8.000
34. საწესდებო კაპიტალი		2.000
35. გაუნაწილებელი მოგება		7.500
36. საანგარიშო პერიოდის მოგება		9.442
<b>ჯამი:</b>	<b>92061</b>	<b>92061</b>

საცდელ ბალანსში მოტანილი ანგარიშების ნაშთების აგრერირების შემდეგ, ბალანსის ფორმატს შემდეგი სახე ექნება (როგორც წესი ბუღალტრულ ბალანსში ასახული უნდა იყოს, მინიმუმ 2 წლის შესადარისი ინფორმაცია. მოცემულ შემთხვევაში, გამარტივების მიზნით, მოტანილია მხოლოდ საანგარიშებო წლის მონაცემები)

**შ.პ.ს „იმუდი“**

**ფინანსური ძღვომართობის ანგარიშები**

**20X2 წლის 31 დეკემბრის ძღვომართობით**

	<b>შენიშვნა</b>	<b>20X2</b>	<b>20X1</b>
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	1	16780	X
გრძელვადიანი ინვესტიციები		1.000	X
გადაკადებული საგადასახადო აქტივი		<u>470</u>	X
		<u>18.250</u>	X
<b>მიმღინარე აქტივები</b>			
სასაქ. მატერიალური ფასეულობა	2	11.055	X
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	15.270	X
ავანსები		5.000	X
მოკლევადიანი ინვესტიციები	4	11.950	X
ფულადი სახსრები	5	<u>9.586</u>	X
		<u>52.861</u>	X
<b>სულ აქტივები</b>		<u>71.111</u>	X
<b>საკუთარი კაპიტალი და კალდებულებები</b>			
კაპიტალი და რეზერვი			
საწესდებო კაპიტალი		2.000	X
აკუმულირებული მოგება	6	<u>16.942</u>	X
		<u>18.942</u>	X
<b>გრძელვადიანი კალდებულებები</b>			
გრძელვადიანი სესხები		8.000	X
		<u>8.000</u>	X
<b>მოკლევადიანი კალდებულებები</b>			
სავაჭრო და სხვა კალდებულებები	7	25.969	X
მოკლევადიანი სესხები		<u>18.200</u>	X
		<u>44.169</u>	X
<b>საკუთარი კაპიტალი და კალდებულებები</b>			
		<u>71.111</u>	X

**შენიშვნა:** აგრერირებული საბალანსო მუხლების გაშიფრვა, მათი უკეთ აღქმისა და ინფორმაციის სარგებლიანობის თვალსაზრისით აისახება განმარტებით შენიშვნებში.

## 21 . 5 . პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგება

საწარმომ პერიოდის განმავლობაში აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი უნდა წარადგინოს:

- ერთ, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში; ან
- ორ ანგარიშგებაში:

- ანგარიშგებაში, რომელიც გვიჩვენებს მოგებისა და ზარალის კომპონენტებს (განცალკევებული მოგებისა და ხარალის ანგარიშგება); და
- ანგარიშგებაში, რომელიც იწყება მოგებით და ზარალით და გვიჩვენებს „სხვა სრული შემოსავლის“ კომპონენტებს (სრული შემოსავლის ანგარიშგება).

**სხვა სრული შემოსავალი** – შედგება შემოსავლებისა და ხარჯების იმ ელემენტებისაგან (მათ შორის, რეკლასიფიკაციით გამოწვრილი კორექტირებებისაგან), რომლებიც აღიარებული არ არის მოგებაში ან ზარალში, როგორც მოითხოვება ან დაშვებულია სხვა ფასს-ით.

### 21 . 5 . 1 . 06 ფორმაცია, რომელიც ასახისა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

როგორც მინიმუმი, სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა მოიცავდეს შემდეგ მუხლებს, რომლებიც წარმოადგენს მოცემული პერიოდის შესაბამის თანხებს:

- ამონაგები;
  - ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტით წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი;
- ფინანსური დანახარჯები;
- კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებისა და ერტობლივი საქმიანობის მოგებისა და ზარალის წილი;
- გა) ადრინდელ საბალანსო ღირებულებასა და რეკლასიფიკაციის თარიღისათვის განსაზღვრულ რეალურ ღირებულებას შორის განსხვავების თანხას (როგორც ეს განმარტებულია ფასს 9 -ში), თუ ფინანსური აქტივი რეკლასიფიკაციის შემდეგ შეფასებულია რეალური ღირებულებით;
- დ) საგადასახადო ხარჯი;
- ე) თანხა, რომელიც შედგება მუხლების ჯამისაგან:
  - შეწყვეტილი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი დაბეგვრის შემდეგ; და
  - დაბეგვრის შემდგომი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია იმ აქტივების ან გამსვლელი ჯგუფის (ჯგუფების) გაყიდვის ან გასვლის რეალური ღირებულებისა და დანახარჯების სხვაობის შეფასების დროს, რომლებიც წარმოადგენ შეწყვეტილ ოპერაციას; და
- ვ) მოგება ან ზარალი;
- ზ) სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი, რომელიც კლასიფიცირებულია შინაარსის მიწევით ((თ) პუნქტის თანხების გარდა);
- თ) კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებისა და ერთობლივი საქმიანობის სხვა სრული შემოსავლის წილი; და
- ი) სრული შემოსავლის მთლიანი თანხა.

საწარმომ სრული შემოსავლის ანგარიშებაში, ან განცალკევებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში (თუ წარდგენილია), ან განმარტებით შენიშვნებში შემოსავლების ან ხარჯების მუხლები არ უნდა წარმოადგინოს განსაკუთრებული მუხლის სახით.

### საანგარიშობის პერიოდის მოგება ან ზარალი

საწარმომ საანგარიშებო პერიოდის შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი უნდა აღირიცხოს მოგებაში ან ზარალში, თუ ფასს-ით სხვა რამ არ მოითხოვება, ან ნებადართული არ არის.

### საანგარიშობის პერიოდის სხმა სრული შემოსავალი

საწარმომ სხვა სრული შემოსავლის თითოეულ კომპონენტთან დაკავშირებული მოგების გადასახადი, მათ შორის რეკლასიფიკაციის კორექტირებები, უნდა აჩვენოს ან სრული შემოსავლის ანგარიშებაში, ან განმარტებით შენიშვნებში.

საწარმოს უფლება აქვს, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტები წარმოადგინოს:

- ა) დაბეგვრის შედეგების გამოკლებით; ან
- ბ) დაბეგვრამდელი მდგომარეობით, ერთი თანხით, რომელიც გვიჩვენებს ამ კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის აგრეგირებულ სიდიდეს.

საწარმომ მოგებაში და ზარალში აღიარებული ხარჯების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს მათი ეკონომიკური შინაარსის, ან საწარმოში მათი ფუნქციების მიხედვით. არჩევანი უნდა გაკათდეს იმ მეთოდზე, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას იძლევა.

პირველი ტიპის სტრუქტურა მოიხსენიება, როგორც ხარჯების „ეკონომიკური შინაარსის“ მიხედვით დაჯგუფების მეთოდი. ხარჯები მოგებისა და ზარალის ფარგლებში აგრერირდება მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით (მაგალითად, ცვეთა, მასალების შეძენა, ტრანსპორტირების დანახარჯები, მომუშავეთა გასამრჯელო და სხვა) და არ ხდება მათი გადანაწილება ფუნქტიების მიხედვით. ქვემოთ მოცემული კლასიფიკაცია ეყრდნობა ხარჯების დაჯგუფებას მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით:

ამონაგები	X
სხვა შემოსავლები	X
ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოებს მარაგში	X
გამოყენებული ნედლეული და მასალები	X
პერსონალის შენახვის ხარჯები	X
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	X
სხვა ხარჯები	X
სულ ხარჯები	(X)
მოგება დაბეგვრამდე	X

მეორე ტიპის სტრუქტურა ეხება „ხარჯების ფუნქციების“ ანუ „მიმოქცევის (საბრუნავი) ხარჯების“ მეთოდს. ამ მეთოდის თანახმად,, ხარჯების კლასიფიკაცია ხდება მათი ფუნქციის მიხედვით, როგორც რეალიზებული პროდუქციის თვითონირებულების ნაწილი,

ან მაგალითად, როგორც კომერციული ან ადმინისტრაციული საქმიანობის ნაწილი. ამგვარი წარდგენით საწარმო, როგორც მინიმუმ, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას გამოყოფს სხვა ხარჯებისაგან. ამ მეთოდით მომხმარებელს უფრო შესაფერისი ინფორმაცია მიეწოდება, ვიდრე ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციის მეთოდით, მაგრამ ფუნქციების მიხედვით ხარჯების განაწილება შეიძლება სუბიექტურად ხდებოდეს და დასაბუთებელ გადაწყვეტილებას მოითხოვდეს. ქვემოთ მოცემულია ხარჯების კლასიფიკაციის მაგალითი ფუნქციების მიხედვით:

<u>ამონაგები</u>	<u>X</u>
<u>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</u>	<u>(X)</u>
<u>საერთო მოგება</u>	<u>X</u>
<u>სხვა შემოსავლები</u>	<u>X</u>
<u>კომერციული დანახარჯები</u>	<u>(X)</u>
<u>ადმინისტრაციული ხარჯები</u>	<u>(X)</u>
<u>სხვა ხარჯები</u>	<u>(X)</u>
<u>მოგება დაბუღვრამდე</u>	<u>X</u>

საწარმომ, როგორიც იყენებს ხარჯების კლასიფიკაციას ფუნქციების მიხედვით, უნდა გააშუქოს დამატებითი ინფორმაცია ხარჯების ეკონომიკური შინაარსის შესახებ, მათ შორის აქტივების ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯის და დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯველობის ხარჯის.

## 21 . 6 . პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშმება

### ასეს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშება“ მიხედვით:

საწარმომ უნდა მოამზადოს ფულადი ნაკადების ანგარიშება წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად და წარმოადგინოს იგი, როგორც ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილი, ყოველი საანგარიშებო პერიოდისათვის.

საწარმოს მიერ მიღებული მოგება და ფულადი სახსრები, როგორც წესი, ერთმანეთს არ ემთხვევა. საწარმოს მიერ წლის განმავლობაში მიღებული მოგება არ ნიშნავს, რომ ფულიც ამდენივე აქვს მიღებული მას. საგენერირებულია, საწარმომ საანგარიშებო წელი დიდი მოგებით დაამთავროს, მაგრამ პქონდეს ცოტა ფული. ამასთან, უდავოა, რომ ფული სამეურნეო საქმიანობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგან ფულის საშუალებით ხდება რესურსების შეძენა, ხელფასების გადახდა, კრედიტორული დავალინების დაფარვა, ხარჯების ანაზღაურება და სხვა. შესაბამისად, საწარმოს მართვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაცია, გარდა საწარმოს ხელმძღვანელობისა, საინტერესო და სასარგებლოა ინფორმაციის სხვა მომხმარებლებისთვისაც. ისინი დაინტერესებულნი არიან გაიგონ, თუ როგორ გამოიმუშავებს და იყენებს საწარმო ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

ამგარად, ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაციით ფინანსური ანგარიშების მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ, შეაფასონ საწარმოს მიერ ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობა, დროულობა და საიმედოობა. ასეთი ინფორმაცია შესაძლებლობას იძლევა:

- შეფასდეს საწარმოს მოკლე და გრძელვადიანი გადახდისუნარიანობა;
- დადგინდეს, შეძლებს თუ არა საწარმო გადაიხადოს კრედიტები და დივიდენდები;
- განისაზღვროს საწარმოს მოთხოვნები დამატებით დაფინანსებაზე;
- მოხდეს მომავალი პერიოდის ფულადი ნაკადების პროგნოზირება;
- გაირკვეს წმინდა მოგებასა (ზარალსა) და ფულადი სახსრების წმინდა მატებას (კლებას) შორის განსხვავების მიზეზი და სხვა.

ფულადი ნაკადების შესახებ სრულ ინფორმაციას იძლევა ფინანსურ ანგარიშებაში შემავალი კომპონენტი – ფულადი ნაკადების ანგარიშება.

ფულადი ნაკადების ანგარიშების მთავარი მიზანია – ფინანსური ანგარიშების ინფორმაციის მომხმარებელი უზრუნველყოს, პერიოდის განმავლობაში საწარმოში ფულადი სახსრების შემოსვლისა და გასვლის შესახებ ინფორმაციით ე.ი. მოცემული ანგარიშება წარმოდგენას გვიქმნის ფულის შემოდინებისა და გადინების შესახებ. ფულადი ნაკადების ანგარიშება ავსებს ბალანსის და მოგებისა და ზარალის ანგარიშების მონაცემებს. იგი გვიჩვენებს როგორც ფულადი სახსრების მასას და მოძრაობას, ასევე საწარმოს ფულადი სახსრების ნაშთის ცვლილებას პერიოდის განმავლობაში.

#### **ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშება“ მიხედვით:**

**ფულად სახსრებში** - იგულისხმება ნაღდი და დეპოზიტები მოთხოვნამდე.

**ფულადი სახსრების ექივალენტები** - არიან მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლებიან ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

**ფულადი ნაკადები** - ნიშნავს ფულადი სახსრებისა და მათი ექივალენტების შემოსვლასა და გასვლას.

**საოპერაციო საქმიანობა** - არის საწარმოს ძირითადი შემოსვლების მომტანი და სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა.

**საინვესტიციო საქმიანობა** - არის გრძელვადიანი აქტივებისა და იმ სხვა ინვესტიციათა შეძენა და რეალიზაცია, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

**საფინანსო საქმიანობა** - არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლებიან საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები საშუალებები.

#### **21 . 6 . 1 . ფულადი სახსრები და მათი ეპიზალენტები**

ფულადი სახსრების ეკვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ფულად ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. იმისათვის, რომ ინვესტიცია კლასიფიცირდეს როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი,

იგი ადვილად გადაცვლადი უნდა იყოს წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელო იყოს. ამიტომ, როგორც წესი, ინვესტიცია ნაღდი ფულადი სახსრების ეკვივალენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში კვალიფიცირდება, თუ მას დაფარვის მოქლე ვადა აქვს, ვთქვათ შეძენიდან სამი თვე ან ნაკლები. ინვესტიციები საკუთარ კაპიტალში არ ჩაითვლება ფულადი სახსრების ეკვივალენტად, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ისინი, თავისი შინაარსით, ფულადი სახსრების ეკვივალენტს წარმოადგენს, მაგალითად, პრივატურ აქციას, რომალიც შეძენილია განაღდების ვადამდე ცოტა ხნით ადრე და რომელზეც მითითებულია განაღდების თარიღი.

საბანკო სესხები, როგორც წესი, საფინანსო საქმიანობა ითვლება, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში საბანკო ოვერდრაფტები, რომლებიც მოთხოვნისთანავე ექვემდებარება განაღდებას, საწარმოთა ფულადი სახსრების მართვის განუყოფელი ნაწილია. ასეთ შემთხვევაში საბანკო ოვერდრაფტები ჩაითვლება ფულადი სახრებისა და მათი ეკვივალენტების ელემენტად. ამვარი საბანკო შეთანხმებისათვის დამახასიათებელია ბანკის ნაშთის ხშირი მერყეობა დადგებითიდან ოვერდრაფტისკენ.

ფულადი ნაკადები არ მოიცავს სახსრების გადასვლას ფულადი სახსრებიდან მათ ეკვივალენტებში და პირიქით, რადგან ისინი უფრო მეტად საწარმოს ფულადი სახსრების მართვის შემადგენელი ნაწილია, ვიდრე საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობისა. ფულადი სახსრების მართვა მოიცავს ჭარბი ფულადი სახსრების ინვესტირებას ფულადი სახსრების ეკვივალენტებში.

## 21 . 6 . 2 . ფულადი ნაკადების ანგარიშიშის ტარდება

ფულადი სახსრების ანგარიშებაში უნდა აისახოს საანგარიშებო პერიოდის ფულადი ნაკადები, რომელიც დაჯგუფებული იქნება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობად.

საწარმო ანგარიშებაში ფულად ნაკადებს წარადგენს საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან გამომდინარე ისეთი ფორმით, რომელიც ყველაზე მეტად მისაღებია მისი საქმიანობისათვის. დაჯგუფება საქმიანობის მიხედვით იძლევა ინფორმაციას, რომელიც მომზარებელს საშუალებას აძლევს, შეაფასოს მოცემული საქმიანობის გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და საწარმოს ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ამ ინფორმაციის გამოყენება ასევე შესაძლებელია საქმიანობის სახეებს შორის თანაფარდობის შეფასების მიზნით.

ერთი სამეურნეო ოპერაცია შეიძლება ფულადი სახსრების ისეთ ნაკადებს მოიცავდეს, რომლებიც სხვადასხვანაირად კლასიფიცირდება. მაგალითად, თუ სესხის დაფარვა მოიცავს დარიცებულ პროცენტებსა და ძირითად თანხას, პროცენტების გადახდა შეიძლება კლასიფიცირდეს საოპერაციო საქმიანობად, ხოლო ძირითად თანხის გადახდა – საფინანსო საქმიანობად.

## საოპერაციო საქმიანობა

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ოდენობა ითვლება საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარ ინდიკატორად, რადგან აქედან ჩანს, საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან შემოვიდა თუ არა საქმიანობის ფულადი სახსრები სესხების დასაფარად, საწარმოო სიმბლავრის შესანარჩუნებლად, დივიდენდების გადასახდელად და ახალ ინვესტიციათა განსახორციელებლად, დაფინანსების გარე წყაროთა მოზიდვის გარეშე. ინფორმაცია წარსული საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი ნაკადების ცალკეული ელემენტის შესახებ, სხვა ინფორმაციასთან ერთად, სასარგებლოა საოპერაციო საქმიანობიდან მისაღები ფულადი ნაკადების პროგნოზირებისათვის.

საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები უმეტესად საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი საქმიანობიდან წარმოიშობა. ამგვარად, იგი, საზოგადოდ, წარმოიშობა ისეთი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შედეგად, რომლებიც მონაწილეობენ მოგების და ზარალის განსაზღვრაში. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების მაგალითებია:

### I. საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები

#### გეორგებისა

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	საქონლის, ნედლეულის და მომსახურების შეძენისათვის გადახდილი ფულადი სახსრები
როიალტებიდან, პონორარებიდან, საკომისიო გადასახდელებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები
სადაზღვევო საწარმოს მიერ სადაზღვევო თანხების სახით მიღებული ფულადი სახსრები.	სადაზღვევო საწარმოს მიერ სადაზღვევო პრემიების გადასახდელად გასული ფულადი სახსრები
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების დაბრუნებით მიღებული ფულადი სახსრები	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების დასაფარავად გასული ფულადი სახსრები
კომერციული და სავაჭრო მიზნით დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებით მიღებული ფულადი სახსრები	კომერციული და სავაჭრო მიზნით დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებით გადახდილი ფულადი სახსრები
მიღებული პროცენტები და დივიდენდები	გადახდილი პროცენტები და დივიდენდები

#### საინვესტიციო საქმიანობა

მნიშვნელოვანია საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების ცალკე გამოყოფა, რადგან იგი გვიჩვენებს, თუ რა დანახარჯები იქნა გაწეული იმ რესურსებისათვის, რომლებმაც უნდა შექმნან მომავალი შემოსავალი და ფულადი ნაკადები. მხოლოდ ისეთი დანახარჯების კლასიფიცირება შეიძლება საინვესტიციო საქმიანობის

დანახარჯებად, რომლის გაწევაც იწვევს აქტივის აღიარებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მაგალითია:

## II. სამიზანობის ფულადი ნაკადები გემოდინება

<p>ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები</p>	<p>ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები</p>
<p>სხვა საწარმოს საკუთარ კაპიტალში წილის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის გაყიდვით მიღებული ფულადი სახსრები</p>	<p>სხვა საწარმოს საკუთარ კაპიტალში წილის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები</p>
<p>გაცემული ავანსებისა და სესხების დასაფარავად მიღებული ფულადი სახსრები</p>	<p>სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები</p>

### საფინანსო სამიანობა

მნიშვნელოვანია საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების ცალკე გამოყოფა, რადგან იგი სასარგებლოა საწარმოს კაპიტალის მომწოდებლის შესაძლო პრეტენზიების შესაფასებლად, მომავალი ფულადი ნაკადების მიმართ. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მაგალითებია:

## III. საზონანო სამიანობის ფულადი ნაკადები გემოდინება

<p>საკალო ფასიანი ქაღალდების, თამასუქების, ობლივაციების, გირაოებისა და სხვა გრძელვადიანი სესხების გამოშვებით მიღებული ფულადი სახსრები</p>	<p>სესხების დასაფარავად გადახდილი ფულადი სახსრები.</p> <p>ფინანსური იჯარის ვალდებულების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები</p>
<p>აქციებისა და წილის გაყიდვიდან მიღებული ფული.</p>	<p>აქციების უკან გამოსყიდვაში გადახდილი ფული. მეპატრონის მიერ წილის თანხობრივი გატანა.</p>

### პროცენტები და დივიდენდენები

პროცენტებისა და დივიდენდების საწით მიღებული და გაცემული ფულადი ნაკადები უნდა აისახოს განცალკევებით. მათი კლასიფიცირება უნდა მოხდეს უცვლელად, პერიოდიდან პერიოდამდე, როგორც საოპერაციო, საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა.

გადახდილი და მიღებული პროცენტები და დივიდენდები საფინანსო დაწესებულებებისათვის, ძირითადად, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები. თუმცა, სხვა საწარმოებისათვის არ არსებობს ერთიანი მოსაზრება ამგვარი ფულადი ნაკადების კლასიფიცირების შესახებ. გადახდილი და მიღებული პროცენტები და დივიდენდები შეიძლება კლასიციფირდეს როგორც საოპერაციო ფულადი ნაკადები, რადგან ისინი მონაწილეობენ წმინდა მოგებისა და ზარალის განსაზღვრაში. ამის საპირისპიროდ, გადახდილი და მიღებული პროცენტები და დივიდენდები ასევე შეიძლება კლასიფიცირდეს, შესაბამისად, როგორც ფინანსური რესურსების მოზიდვის დანახარჯები ან ინვესტიციების უკუგება.

გადახდილი დივიდენდები შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც ფულადი სახსრების ფინანსური ნაკადები, რადგან ისინი წარმოადგენს ფინანსური რესურსების მოზიდვის დანახარჯებს. ამასთან, გადახდილი დივიდენდები ასევე შეიძლება კლასიცირდეს, როგორც საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების შემაღენელი ნაწილი, რათა მომსმარებელს დაეხმაროს, განსაზღვროს საწარმოს შესაძლებლობა, დივიდენდები გადაიხადოს საოპერაციო ნაკადების ფულადი სახსრებიდან.

## არაფულადი სამშრომელი ოპერაციები

ისეთი საინვესტიციო და საფინანსო ოპერაციები, რომალიც არ საჭიროებს ფულად სახსრებს ან მათ ეკვივალენტებს, არ აისახება ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ეს სამეურნეო ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ნაწილში ისეთი ფორმით უნდა აისახოს, რომ მომსმარებელი უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციით, ამგვარი საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის შესახებ.

## 21 . 6 . 3 . სამშრომელი სამინისტროს დაბამშირმული ფულადი ნაკადების წარდგმენა

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები საწარმომ უნდა წარადგინოს:

- პირდაპირი მეთოდით, რომელშიც ნაჩვენებია ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები, ძირითადი კატეგორიების მიხედვით; ან
- არაპირდაპირი მეთოდით, რომლის მიხედვითაც წმინდა მოგება ან ზარალი კორექტირდება არაფულადი ოპერაციების შედეგებით, წარსული ან მომავალი პერიოდის საოპერაციო შემოსავლებისა და გადახდების გადავადების ან დარიცხვის გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულიარიან საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულად ნაკადებთან.

საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით, სტანდარტით დაშვებულია მხოლოდ ერთი ნორმა, რომელიც ითვალისწინებს საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადების ასახვას, შემოსავლებისა და გასავლების კატეგორიების მიხედვით.

**პირდაპირი მეთოდით** ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენისას შეიძლება ორი მიღვომის გამოყენება. პირადპირი გულისხმობს ფულადი ნაკადების დაშლას, მათი

კატეგორიების მიხედვით და კატეგორიების კლასიფიკაციას საქმიანობათა კომპონენტებად. იგი შედარებით შრომატევადია, მაგრამ იოლია ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავებისას, თუ პროგრამა უზრუნველყოფს ფულადი ნაკადების ქრონოლოგიურ დაგროვებას, შესაბამისი კატეგორიების მიხედვით.

მეორე მიღომა ითვალისწინებს ფულადი ნაკადების ანგარიშების შედგენას ბალანსის, მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშებისა და სხვა დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე. იგი ნაკლებ შრომას, მაგრამ შესაბამისი ფორმულების კვალითურ გამოყენებას მოითხოვს.

საწარმოებს რეკომენდაცია ეძლევათ, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშება შეადგინონ პირდაპირი მეთოდით. პირდაპირი მეთოდი იძლევა ინფორმაციას, რომელიც სასარგებლობის მომავალი ფულადი ნაკადების შესაფასებლად, რის საშუალებასაც ვერ იძლევა არაპირდაპირი მეთოდი.

**ფულადი სახსრების მოძრაობის გაანგარიშების ცხრილი პირდაპირი მეთოდით  
ფულის ნაკადი საოპერატო საქმიანობიდან**

შემოსავალი ან ზარჯო (მოგება-ზარალიდან)	შესწორება (მაღანსიღან)				ფულადი ნაკადების მოძრაობის ცხრილი
შემოსავალი რეალიზაციაზე	+ დებიტ. დაგალ. შემცირება ან	+ მიღებული ავანსის ზრდა ან			პროდუქტის რეალიზაციაზე მიღებული ფული
	- დებიტ. დაგალ. ზრდა	- მიღებული ავანსის შემცირება			
რეალიზებული პროდუქტის თვითოღირებულება	+ მარავის ზრდა ან	+ პრიდ. დაგალ. შემცირება ან	+ გადახდ. ავანსის ზრდა ან		პროდუქტის შესასყიდვიდ გადახდილი ფული
	- მარავის შემცირება	- პრიდ. დაგალ. ზრდა	- გადახდ. ავანსის შემცირება		
საოპერატო ზარჯები	+ ავანსად გაწული ზარჯების ზრდა ან	+ დარიც ბული გალილეულების შემცირება ან			საოპერატო ზარჯების სახით გადახდილი სახსრები
	- ავანსად გაწული ზარჯების შემცირება	- დარიც ბული გალილეულების ზრდა			
სესხის %-ის ზარჯი	+ პროცენტის დაგლობანების შემცირება ან				პროცენტის სახით გადახდილი ფული
	- პროცენტის დაგლობანების ზრდა				
გადასანადების ზარჯი	+ გადასანადების დაგლობანების შემცირება ან				გადასანადების სახით გადახდილი ფული
	- გადასანადების დაგლობანების ზრდა				
ცემის ზარჯი					0
ამორტიზაციის ზარჯი					0

ფულის ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან

ფიქსირებული მატერიალური და არამატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	=	ფულადი საბირების შემოწმება
აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული თანხები	=	ფულადი საბირების შემოწმება
გრძელვადიანი დებატორების მიერ სესხის დაფარვიდან მიღებული თანხები	=	ფულადი საბირების გადახდილი სესხები
ფიქსირებული მატერიალური და არამატერიალური აქტივების შესაძნად გადახდილი თანხები	=	ფულადი საბირების გადახდილი სესხები
აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შესაძნად გადახდილი თანხები	=	ფულადი საბირების გადახდილი სესხები
დებატორზე გაცემული სესხები		

ფულის ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან

კაპიტალის შესავტებად პარტნიორის მიერ შემოტანილი ფული	=	ფულადი საბირების შემოწმება
ჩეულებრივი და პრივატულებული აქციების გამოშევებით მიღებული თანხები	=	ფულადი საბირების შემოწმება
ობლიგაციების გამოშევების შედევად მიღებული თანხები	=	ფულადი საბირების გადახდილი სესხები
აქციების უკან გამოსყიდვისათვის გადახდილი თანხები	=	ფულადი საბირების გადახდილი სესხები
დავიდების სახით გადახდილი თანხები	=	ფულადი საბირების გადახდილი სესხები
პრედიტორული თამასუქების დასფარვად გადახდილი თანხები	=	ფულადი საბირების გადახდილი სესხები
მისჯარების მიერ ფინანსურ უკარასთან დაკავშირებით გაღდებულების შემცირებისათვის გადახდილი თანხები		

შ.პ.ს „მტკდი“  
ფულადი ნაკადების ანგარიშება  
20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (პირდაპირი მეთოდით)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	20X2	20X1
კლიენტებისაგან მიღებული ფული	84.975	
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(23.102)	(X)
თანამშრომლებზე გაცემული ფული	(22.445)	(X)
სხვა საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები	4.000	X
სხვა საოპერაციო ხარჯებისათვის		
გადახდილი ფულადი სახსრები	(8.330)	(X)
დანარჩენ გადასახადებში გადახდილი		
ფულადი სახსრები	(8.850)	(X)
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების		
შესაძნად გადახდილი ფული	(6.350)	(X)
მიღებული პროცენტები	155	X
მიღებული დივიდენდები	<u>300</u>	<u>X</u>
სულ საოპერაციო საქმიანობიდან	<u>20.353</u>	<u>X</u>

გადახდილი პროცენტები	(2.135)	(X)
გადახდილი დივიდენდები	(4.300)	(X)
გადახდილი მოვების გადასახადი	(2.752)	(X)
მიწისძვრით მიყენებული ზარალი	(2000)	(X)

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო

საქმიანობიდან

9.166

X

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

გენერაციული ინვესტიციების შეძენა	(500)	(X)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(6.340)	(X)

საინვესტიციო საქმიანობისათვის

გამოყენებული წმინდა ფულადი

სახსრები

(6.840)

(X)

ფულადი ნაკადების საფინანსო საქმიანობიდან

გენერაციანი სესხების გადახდა	(1.000)	(X)
შემოსულობანი მოკლევადიანი		

სესხებიდან

4600

X

საფინანსო საქმიანობისათვის გამოყე-

ნებული წმინდა ფულადი სახსრები

3600

X

ფულადი სახსრებისა და მათი

გენერაციული წმინდა ზრდა

5926

X

ფულადი სახსრებისა და მათი

გენერაციული წმინდა საანგარიშებო

პერიოდის დასწყისისათვის

3.660

X

ფულადი სახსრებისა და მათი

გენერაციული წმინდა საანგარიშებო

პერიოდის ბოლოსათვის

9.586

X

არაპირდაპირი მეთოდი, როგორც აღნიშნული იყო, გამოიყენება საოპერაციო საქმიანობის წმინდა ფულადი ნაკადების გამოანგარიშებისათვის. ამ მიზნით, აუცილებელია საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული დაბეგვრამდელი წმინდა მოგების კორექტირება. არაპირდაპირი მეთოდით საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული წმინდა ფულადი ნაკადები განისაზღვრება წმინდა მოგებისა და ზარალის კორექტირებით.

ფულადი სახსრების გაანგარიშება საოპერაციო საქმიანობიდან არაპირდაპირი მეთოდით

ემატება წმინდა მოვებას	ალკოლი წმინდა მოვებას
ცვეთის ხარჯი	
ამორტიზაციის ხარჯი	
ზარალი (საინვესტიციო/ფინანსური)	მოვება (საინვესტიციო/ფინანსური)
დებიტორული დავალიანების შემცირება	დებიტორული დავალიანების ზრდა
სასაქ-მატერიალური ფასეული. შემცირება	სასაქ-მატერიალური ფასეული. ზრდა
წინანსწარ გადახდილი ხარჯის შემცირება	წინანსწარ გადახდილი ხარჯის ზრდა
კრედიტორული დავალიანების ზრდა	კრედიტორული დავალიანების შემცირება
დარიცხული ვალდებულებების ზრდა	დარიცხული ვალდებულებების შემცირება
პროცენტის დავალიანების ზრდა	პროცენტის დავალიანების შემცირება
საშემოს. გადასახ. დავალიანების ზრდა	საშემოს. გადასახ. დავალიანების შემცირება

ඇ.ජ.ඩ. „අධ්‍යක්ෂ”

ფულადი ნაკადების ანგარიშება 20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(არაპირდაპირი მეთოდით)

<b>ფულადი ნაკადები</b>	<b>20X2</b>	<b>20X1</b>
<b>საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
წმინდა მოგება დაბუკრამდე და განსაკუთრებულ მუხლამდე	15.178	X
<b>შესწორებები შემდევი მუხლებისათვის:</b>		
ცვეთა	3.060	X
საოპერაციო ხარჯები	2.350	X
შემოსავალი ინვესტიციებიდან	(500)	(X)
შემოსავალი პროცენტებიდან	(480)	(X)
მიღებული პროცენტები	155	X
მიღებული დივიდენდები	<u>300</u>	X
<b>მოგება საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
<b>საბრუნვა კამიზალში ცვლილებამდე</b>	<u>20.063</u>	X
მყიდველთა და სხვა დებიტორების დაკალიბრების შემცირება	2.995	X
სასაქონლო-მატერიალური ფასულობის მატება	(2.305)	(X)
ინვესტიციების მატება	(2.950)	(X)
მომწოდებელთა კრედიტორული დავალიანების მატება	<u>2.550</u>	X
<b>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული</b>		
<b>ფულადი სახსრები</b>	<u>20.353</u>	X
გადახდილი პროცენტები	(2.135)	(X)
გადახდილი დივიდენდები	(4.300)	(X)
გადახდილი მოგების გადასახდი	(2.752)	(X)
მიწისძვრით მიყენებული ზარალი	(2000)	(X)
<b>წმინდა ფულადი სახსრები</b>		
<b>საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<u>9.166</u>	X
<b>ფულადი ნაკადები</b>		
<b>საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
გძელვადიანი ინვესტიციების შეტენა ძირითადი საშუალებების შეტენა	(500) <u>(6.340)</u>	(X) (X)
<b>წმინდა ფულადი სახსრები</b>		
<b>საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<u>(6.840)</u>	(X)
<b>ფულადი ნაკადების</b>		
<b>საფინანსო საქმიანობიდან</b>		
გძელვადიანი სესხების გადახდა შემოსულობანი მკკლევადიანი სესხებიდან	(1.000) <u>4.600</u>	(X) X
<b>წმინდა ფულადი სახსრები</b>		
<b>საფინანსო საქმიანობიდან</b>	<u>3.600</u>	(X)
<b>ფულადი სახსრებისა და მათი</b>		
ეჭვივალუნტების წმინდა ზრდა	5.926	X
<b>ფულადი სახსრებისა და მათი</b>		
ეჭვივალუნტები საანგარიშებო პერიოდის დასაწყისისათვის	<u>3.660</u>	X
<b>ფულადი სახსრებისა და მათი</b>		
ეჭვივალუნტები საანგარიშებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>9.586</u>	X

### საილუსტრაციო მაგალითი:

**დაგალება:** მოცემული ინფორმაციების (ბალანსის, მოგება-ზარალის და დამატებითი ინფორმაციების) საფუძველზე შეადგინეთ საქციო საზოგადოება „იმედი“-ს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით.

<b>მოგება-ზარალის ანგარიშება</b>		
20X2 წლის 01.01. დან 20X2 წლის 31.12. მდე		
საქციო საზოგადოება „იმედი		
გაზომვის ერთული: ლარი		
<b>შემოსავალი რეალიზებული პროდუქციიდან</b>	<b>698.000</b>	
რეალიზებული პროდუქციის თვითონირებულება	(520.000)	
<b>მოგება რეალიზაციიდან:</b>		<b>178.000</b>
საოპ. ხარჯები (მოცავს ძირითადი საშუალებების ამორტიზაციას, 37.000)	(147.000)	
<b>მოგება საოპერაციო საქმიანობიდან:</b>		<b>31.000</b>
სხვა შემოსავლები და ხარჯები არასაოპერაციო საქმიანობიდან		
ხარჯები პროცენტის სახით	(23.000)	
შემოსავლები პროცენტის სახით	6.000	
მოგება ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან	12.000	
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	(3.000)	
<b>მოგება დაბუკრამდე:</b>		<b>23.000</b>
მოგების გადასახადი	(7.000)	
<b>სუფთა მოგება:</b>		<b>16.000</b>

### **დამატებითი ინფორმაცია:**

1. საწარმომ შეიძინა 78.000 ლარის ფასიანი ქაღალდები;
2. ფასიანი ქაღალდები გაიყოდა 102.000 ლარად. ამ ფასიანი ქაღალდების შეძენის ღირებულება 90.000 ლარი;
3. შეძენილია 120.000 ლარის ძირითადი საშუალებები;
4. გაიყოდა ძირითადი საშუალებები 5.000 ლარად. თავდაპირველი ღირებულება შეადგენს 10.000-ლარს, ხოლო დარიცხული ამორტიზაცია 2.000-ლარს;
5. 100.000 ლარის ობლიგაციები გაცვლილი იქნა ძირითად საშუალებებში (არაფულადი გატარება);
6. გაანალიზა მის მერ გამოშებული 50.000-ლარის ობლიგაციები;
7. გამოუშვა და გაყიდა 30000 ჩვეულებრივი აქცია 150.000 ლარად (აქციების ნომინალური ღირებულება 5 ლარი);
8. გადაიხადა 8.000 ლარი დივიდენტის სახით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება			
20X2 წლის 31 დეკემბრისათვის			
საქციო საზოგადოება „იმედი“			
გაზომვის ერთული ათასი ლარი			
	სანგარიშო პერიოდის დასაწყისში	სანგარიშო პერიოდის ბოლოს	სხვაობა
<b>აქტივები</b>			
<b>მიმღინარე აქტივები</b>			
ფულადი სახსრები	15	46	+31
დებიტორული დავალიანება	55	47	-8
მარავი	110	144	+34
ავანსად გაწეული სარჯი	5	1	-4
<b>მოლიანი მიმღინარე აქტივი</b>	<b>185</b>	<b>238</b>	
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ფინანსური ინვესტიციები	127	115	
ძირითადი საშუალებები	505	715	
დარიცხული ამორტიზაცია	68	103	
<b>მოლიანი გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>564</b>	<b>727</b>	
<b>მოლიანი აქტივები</b>	<b>749</b>	<b>965</b>	
<b>ვალდებულებები</b>			
<b>მიმღინარე ვალდებულებები</b>			
კრედიტორული დავალიანება	43	50	+7
დარიცხული ვალდებულებები	9	12	+3
სავალასახადო დავალიანება	5	3	-2
<b>მოლიანი მიმღინარე ვალდებულებები</b>	<b>57</b>	<b>65</b>	
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
გასანაღდებული ობიექტები	245	295	
<b>მოლიანი ვალდებულებები</b>	<b>302</b>	<b>360</b>	
<b>მფლობელთა კაპიტალი</b>			
ჩეკულებრივი აქციები	200	276	
საქმისი კაპიტალი	115	189	
გაუნაწილებელი მოგება	132	140	
<b>მოლიანი მფლობელთა კაპიტალი</b>	<b>447</b>	<b>605</b>	
<b>მოლიანი ვალდებულებები და მფლობელთა კაპიტალი</b>	<b>749</b>	<b>965</b>	

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშება		
პირდაპირი მეთოდი		
<i>20X2 წლის 01.01. დან 20X2 წლის 31.12. მდე</i>		
<i>საქართველო „იმედი</i>		
<i>გაზომის ერთეული: ლარი</i>		
გამგარიშება	შემოსული ან განული ფული	
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
<b>მიღებული ფული</b>		
რეალიზაციიდან მიღებული ფული	(698 + 8)*	706
მიღებული პროცენტი	6	6
<b>მოლიანად მიღებული ფულადი სახსრები</b>		<b>712</b>
<b>გაცემული ფული</b>		
მარავის შესაძნად გადახდილი ფულადი სახსრები	(520 + 34 - 7)**	(547)
საოპერაციო ფულადი სახსრები	(147 - 37 - 4 - 3)***	(103)
გადახდილი პროცენტები	23	(23)
გადახდილი გადასახადები	(7 + 2)****	(9)
<b>მოლიანად გადახდილი ფულადი სახსრები</b>		<b>(682)</b>
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>30</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ფასიანი ქაღალდების შეძენა		(78)
ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია		102
ძირითადი საშუალებების შეძენა		(120)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		5
<b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>(91)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		
ობლიგაციების განალება		(50)
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება		150
გადახდილი დივიდენდები		(8)
<b>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>		<b>92</b>
<b>ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება</b>		<b>31</b>
<b>ფულადი სახსრები სანგარიშებო პერიოდის დასაწყისში</b>		<b>15</b>
<b>ფულადი სახსრები სანგარიშებო პერიოდის ბოლოს</b>		<b>46</b>

- \* რეალიზაციიდან შემოსავალი - 698 ლარი; დებიტორის კლება - 8 ლარი;
- \*\* თვითღირებულების ხარჯი - 520 ლარი; მარავის ზრდა - 34 ლარი; კრედიტორული დავალიანების ზრდა - 7 ლარი;
- \*\*\* საოპერაციო ხარჯები - 147 ლარი; ცვეთა - 37 ლარი; ავანსის შემცირება - 4 ლარი; დარიცხული ვალდებულების ზრდა - 3 ლარი;
- \*\*\*\* გადასახადის ხარჯი - 7 ლარი; საგადასახადო დავალიანების კლება - 2 ლარი.

**ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშება**

**არაპირდაპირი მეთოდი**

20X2 წლის 01.01. დან 20X2 წლის 31.12. მდე

საქართველო „იმედი

გაზომვის ერთეულის ლარი

	გაანგარიშება	შემოსული ან განული ფული
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მოვება		16
<b>მოვების შესწორებები</b>		
ამორტიზაცია		37
მოვება ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან		(12)
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციაზე		3
დებიტორული დავალიანების შემცირება		8
მარავების ზრდა		(34)
წინასწარ გადახდილი ხარჯების შემცირება		4
კრედიტორული დავალიანების ზრდა		7
დარიცხული ვალდებულებების ზრდა		3
გადასახადების დავალიანების შემცირება		(2)
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<u>30</u>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ფასიანი ქაღალდების შეძენა		(78)
ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია		102
ძირითადი საშუალებების შეძენა		(120)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		5
<b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<u>(91)</u>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		
ობლიგაციების განაღება		(50)
ჩვეულებრივი აქციების გაძოშვება		150

გადახდილი დივიდუნდები		(8)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		<u>92</u>
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება		31
ფულადი სახსრები საანგარიშებო პერიოდის დასწყისში		15
ფულადი სახსრები საანგარიშებო პერიოდის ბოლოს		<u>46</u>

ისევე, როგორც ფინანსური ანგარიშების სხვა კომპონენტებს, ფულადი ნაკადების ანგარიშებასაც უნდა გაეხსნას დამატებითი ინფორმაცია ახსნაგანმარტებით შენიშვნებში, სადაც საწარმო დაწვრილებით გადმოცემს მომხმარებლისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც ფულადი ნაკადების ანგარიშებაში აგრერირებულად იყო წარმოდგენილი.

## 21 . 7 . პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშმება

საწარმომ უნდა წარადგინოს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშება, რომელშიც აისახება:

- ა) საანგარიშებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი, სათავო საწარმოს მესაკუთრეებსა და არამაკოტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი თანხების ცალკე გამოყოფით;
- ბ) საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისათვის, სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენების ან თანხების რეტროსპექტულად გადაანგარიშების შედეგი, ბასის 8-ის შესაბამისად;
- გ) საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისათვის, წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს არსებული საბალანსო ღირებულებების შეჯერება, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები ცვლილებები, რომლების გამოწვეულია:
  - (i) მოგების ან ზარალის ცვლილებებით;
  - (ii) სხვა სრული შემოსავლის თითოეული მუხლის ცვლილებით; და
  - (iii) მესაკუთრეებთან, როგორც აქციების მფლობელებთან განხორციელებული ოპერაციებით, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაცვენები მესაკუთრეების შენატანები და მესაკუთრეებზე განვითარებული განაწილებები და შეილობილ საწარმოებში მისი საკუთრების წილების ცვლილებები, რომელიც არ იწვევს კონტროლის უფლების დაკარგვას.

საწარმომ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშებაში, ან განმარტებით შენიშვნებში უნდა აჩვენოს მესაკუთრეებზე განაწილებული დივიდუნდების ოდენობა, რომელიც აღიარებულია საანგარიშებო პერიოდში და შესაბამისი შემოსავალი ერთ აქციაზე.

საკუთარი კაპიტალის კომპონენტები მოიცავს, მაგალითად, საკუთარ კაპიტალში განხორციელებულ ნებისმიერი ტიპის შენატანის, სხვა სრული შემოსავლის თითოეული კატეგორიის აკუმულირებულ ნაშთს და გაუნაწილებელ მოგებას.

საანგარიშებო პერიოდის დაწყებისა და დამთავრების თარიღებს შორის პერიოდში საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებები გავიჩვენებს საწარმოს წმინდა აქტივების ზრდას ან შემცირებას საანგარიშებო პერიოდში. პერიოდის მანძილზე საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარი ჯამური ცვლილება, გარდა იმისა, რომელიც გამოწვეულია მესაკუთრებთან, როგორც აქციების მფლობელებთან განხორციელებული ოპერაციებითა (როგორიცაა, წილის შენატანები, საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა და დივიდენდების განაწილება) და უშუალოდ ამგვარ ოპერაციებთან დაკავშირებული საოპერაციო დანახარჯები, გვიჩვენებს საანგარიშებო პერიოდში საწარმოს საქმიანობიდან მიღებულ მთლიან შემოსავლებსა და ხარჯებს, მათ შორის, მიღებულ შემოსულობებსა და დანაკარგებს.

საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიშებაში ასახულმა ინფორმაციამ უნდა უზრუნველყოს ნათელი წარმოდგენა საკუთარი კაპიტალის ცალკეულ მუხლებში მომხდარი ცვლილების შესახებ. სტანდარტის მიერ დადგენილი, საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშების ნიმუში შემდეგი სახისაა:

### საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშება.

20X2 წლის 31 დეკემბერს

	საქვემდებარებული კაპიტალი	გაუმჯობესებული კაპიტალი	უსაფრთხო მუხლების გადასახდების მიზანი	წილის შენატანების გადასახდების მიზანი	წილის შენატანების გადასახდების მიზანი	გადასახდების კავშირი	სულ	არა კაპიტალის წლილი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 20X1 წლის 01.01-სათვის	600.000	118.100	(4.000)	1.600	2.000	-	717.700	29.800	747.500
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა	-	400	-	-	-	-	400	100	500
გადასახარიშებული ნაშთი	600.000	118.500	(4.000)	1.600	2.000	-	718.100	29.900	748.000
<b>საკუთარი კაპიტალის ცვლილება 20X1 წელს</b>									
დივიდენდები	-	(10.000)	-	-	-	-	(10.000)	-	(10.000)
სულ მოცემული წლის სრული შემოსავლი	-	53.200	6.400	16.000	(2.400)	1.600	74.800	18.700	93.500
ნაშთი 20X1 წლის 31 დეკემბერს	600.000	161.700	2.400	17.600	(400)	1.600	782.900	48.600	731.500
<b>საკუთარი კაპიტალის ცვლილება 20X2 წელს</b>									
საქვემდებარებული კაპიტალის გაძლიერება	50.000	-	-	-	-	-	50.000	-	50.000
დივიდენდები	-	(15.000)	-	-	-	-	(15.000)	-	(15.000)
სულ მოცემული წლის სრული შემოსავლი	-	96.600	3.200	(14.400)	(400)	800	85.800	21.450	107.250

გადატანა გაუნაწილებულ ძოვებაში	-	200	-	-	-	200	-	-	-
ნაშთი 20X2 წლის 31 დეკემბერს	650.000	243.500	5.600	3.200	(800)	2.200	903.700	70.050	973.750

## 21 . 8 . სამარმოს სააღრიცხვო პრეზიდენტის, პრეზიდენტის განმარტებები

### 21 . 8 . 1 . სამარმოს სააღრიცხვო პრეზიდენტის

**სააღრიცხვო პრეზიდენტის** განსაკუთრებული პრინციპების, საფუძვლების, შეთანხმებების, წესებისა და პრაქტიკის ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება საწარმოში ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესში.

საწარმო ვალდებულია შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა და ბურალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშების შედგენის დროს იხელმძღვანელოს სააღრიცხვო პოლიტიკაში აღწერილი დებულებებით.

საწარმო სააღრიცხვო პოლიტიკას დამოუკიდებლად ირჩევს ბასს-ის ან მცირე საწარმოთა ბურალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტის (მსს) საფუძველზე. სააღრიცხვო პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელს. ხელმძღვანელობამ ისე უნდა შეარჩიოს და გამოიყენოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა, რომ ფინანსური ანგარიშება შეესაბამებოდეს ბასს-ის ან მსს-ის ყველა მოთხოვნას.

სააღრიცხვო პოლიტიკის მიღების მიზანია სრული და სამედო ინფორმაცია მიაწოდოს ყველა კატეგორიის ინფორმაციის მომხმარებელს საწარმოს ქონებრივ და ფინანსურ მდგომარეობაზე, საწარმოს საქმიანობის შედეგებზე, შეფასებისა და გადაწყვეტილების მისაღებად.

საწარმოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევაში (შემუშავებაში) შესაძლოა მონაწილეობა მიიღოს საწარმოს საბუღალტრო, საფინანსო, იურიდიული და საწარმოს სხვა სამსახურების წარმომადგენლებისაგან შემდგარმა სპეციალურმა ჯგუფმა ან საკონსულტაციო (აუდიტური) ფირმის სპეციალისტებმა.

## სააღრიცხვო პრეზიდენტის განმარტება

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვაში მოცემული უნდა იყოს:

- ა) ფინანსური ანგარიშების მომზადების პროცესში გამოიყენებული შეფასების საფუძველი (ან საფუძვლები); და
- ბ) თითოეული გამოყენებული სპეციფიკური სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშების სწორად გასაგებად.

მნიშვნელოვანია, რომ საწარმომ მომხმარებლებს ინფორმაცია მიაწოდოს ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად გამოიყენებული შეფასების საფუძვლის ან საფუძვლების შესახებ (მაგალითად, პირვანდელი, მიმდინარე, ნეტო სარეალიზაციო. რეალური და ანაზღაურებადი ღირებულება), რადგან ის საფუძველი, რომლის მიხედვითაც მზადდება ფინანსური ანგარიშება, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებლის მიერ ჩატარებულ ანალიზზე. თუ ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოიყენება ერტზე მეტი შეფასების მეთოდი, მაგალითად, როდესაც გადაფასებულია აქტივების კონკრეტული

ჯგუფები, საკმარისია აქტივებისა და ვალდებულებების იმ კატეგორიების ჩვენება, რომელთა შეფასებისთვისაც გამოყენებული იყო გადაფასების მეთოდი.

სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძვლებია სტანდარტის ძირითადი დაშვებები – დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

**დარიცხვის მეთოდის** თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე. ამასთან, ისინი ერთდროულად აისახება ბუღალტრულ რეგისტრებსა და ამავე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში. დარიცხვის მეთოდით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ინფორმაციის მომხმარებელს აცნობს არა მხოლოდ იმ სამეურნეო ოპერაციებს, რომლებიც მოიცავენ ფულადი საშუალებების გადახდასა და მიღებას, არამედ მომავალში გასანალდებულ ვალდებულებებსა და მისაღებ მოთხოვნებს. ამგვარად, დარიცხვის მეთოდის გამოყენებით სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების აღიარება ხდება მათი განხორციელებისთანავე და ისინი აისახებიან იმ პერიოდის ბუღალტრულ რეგისტრებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც თარიღით მიეკუთვნებიან.

**ფუნქციონირებადი საწარმოს** დაშვება გულისხმობს, რომ საწარმო ფუნქციონირებს და საქმიანობას გააგრძელებს უახლოეს საპროგნოზო მომავალში. ივარაუდება, რომ საწარმო არ აპირებს და არ მოუწევს თავისი საქმიანობის შეწყვეტა ან მისი მაშტაბების საგრძნობლად შემცირება. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესში ხელმძღვანელობამ უნდა განჭვრიტოს, აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი. ფუნქციონირების უნარის შეფასებისას, საწარმოს ხელმძღვანელობა იყენებს ნებისმიერ ხელმისაწვდომ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც მოიცავს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირე ერთ წელიწადს. აღნიშნული ფაქტების განხილვის სერიოზულობა დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე. თუ საწარმო წარსულში მომგებიანი იყო და საქმარის ფინანსურ რესურსებს ფლობდა, დასკვნა ფუნქციონირებადობის შესახებ შესაძლოა გაკეთდეს დეტალური ანალიზის გარეშე. სხვა შემთხვევაში საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველი რეალურად რომ ჩაითვალოს, საწარმოს ხელმძღვანელობას შეიძლება დასჭირდეს მრავალი ფაქტორის განხილვა, რომელიც დაკავშირებნული იქნება საწარმოს მიმდინარე და მოსალოდნელ მომგებიანობასთან, ვალების დაფარვის გრაფიკებთან და დაფინანსების შესაძლო წყაროებთან.

თუ კონკრეტულ სააღრიცხვო ობიექტთან დაკავშირებით აღრიცხვა-ანგარიშგების წესი სტანდარტით არ არის განსაზღვრული, მაშინ ასეთი სააღრიცხვო ობიექტისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა თვითონ შეიმუშავებს სააღრიცხვო პოლიტიკას დამოკიდებლად. შემუშავების დროს, ძირითად დაშვებებთან ერთად, აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლების - **აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედოობა და შესაძარისობა** - უპირობო დაცვა. აღქმადობა და შესაძარისობა ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებული მახასიათებლებია, ხოლო შესაბამისობა და საიმედოობა - ფინანსური ანგარიშგების შინაარსის მახასიათებლები.

**აღქმადობა** გულისხმობს ინფორმაციის ისეთი ფორმით მიწოდებას, რომელიც აღვილად გასაგები და გამოსაყენებელი იქნება მომხმარებლისათვის. ამასთან, იგულისხმება, რომ მომხმარებელს გააჩნია ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში გარკვეული ცოდნა და

ფინანსური ინფორმაციის აღქმის უნარი. აღქმადობა არ გულისხმობს ძნელად აღსაქმელი ფინანსური ინფორმაციის ანგარიშგებაში ასახვისგან თავის შეკავებას.

**შესაბამისობა** გულისხმობს ინფორმაციის სარგებლიანობას. ინფორმაცია სასარგებლოა და გააჩნია შესაბამისობის თვისება, თუ იყი გავლენას ახდენს ინფორმაციის მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე იმით, რომ მას ეხმარება შეაფასოს საწარმოს წარსული, მიმდინარე და მომავალი საქმიანობა, ან დაადასტუროს ან შეასწოროს ადრინდელი შეფასებები. ინფორმაციის შესაბამისობაზე გავლენას ახდენს მისი არსებითობა. ინფორმაცია ითვლება არსებითად, თუ მისი გამოტოვება ან დამახინჯება გავლენას მოახდენს იმ მომხმარებელთა გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეყრდნობიან ფინანსურ ანგარიშგებას. არაარსებითი ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა ართულებს აღრიცხვის პროცესს და არაფერს მატებს ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობას, ანუ არაარსებოთობა გულისხმობს იმ ზღვარს, რომლის გადალაზვის შედეგად ინფორმაცია უსარგებლო ხდება.

**სამიზანობა** გულისხმობს ფინანსური ინფორმაციის სამართლიანად წარდგენას (სამართლიანად უნდა ასახავდეს ყველა სამეურნეო ოპერაციასა და მოვლენას), **შინაარსის ფორმაზე აღმატებულებას** (ინფორმაცია სამეურნეო ოპერაციის შესახებ აუცილებელია აისახოს შინაარსისა და ეკონომიკური რეალობის და არა სამართლებრივი ფორმის შესაბამისად), **ნეიტრალობას** (არ უნდა ასახავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც წინასწარგანზრახულ შედეგს განაპირობებს), **წინდანედულობას** (უნდა იყოს პროფესიულად კეთილგონივრული იმ განუსაზღვრელი გარემოებების მიმართ, რომლებიც გარდაუვალად თან ახლავს ფინანსურ ანგარიშგებას) და **სისრულეს** (არ უნდა იყოს გამოტოვებული არსებითი ინფორმაცია).

**შესადარისობა** გულისხმობს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლისათვის საწარმოს სხვადასხვა წლის საქმიანობის შედარებისა და შეფასების შესაძლებლობის უზრუნველყოფას, საწარმოს შედეგების ტენდენციების განსაზღვრის მიზნით.

შესადარისობის უზრუნველსაყოფად აუცელებელია საწარმო უცემლელად, წლების განმავლობაში, იყენებდეს არჩეულ სააღრიცხვო პოლიტიკას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა არ შეიძლება. სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა შესაძლებელია, თუ ამას მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა ან ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შემმუშავებელი ორგანო, ან იმ შემთხვევაში, თუ სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის შედეგად საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოვლენები და სამეურნეო ოპერაციები უფრო მისაღები ფორმით იქნება წარდგენილი.

საწარმოს მიერ შერჩეული და მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა იყოს გაცხადებული. ე.ი. ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაციის მომხმარებლისათვის, რათა იგი გაეცნოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, მათში შეტანილ ცვლილებებს და და ამ ცვლილებებით გამოწვეულ შედეგებს. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, შეაფასოს განსხვავებები სხვადასხვა სააღრიცხვო პოლიტიკას შორის, რომლებსაც ერთი და იგივე საწარმო იყენებს საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში, ან სხვადასხვა საწარმოები იყენებენ ერთი და იმავე საანგარიშგებო პერიოდში. სტანდარტები ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის კომპონენტად განიხილავს სააღრიცხვო პოლიტიკას განმარტებით

შენიშვნებთან ერთად ფინანსურ ანგარიშებასთან ერთად გამჟღავნებული სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა შეიცავდეს:

ა) ფინანსური ანგარიშების მომზადების პროცესში გამოყენებული შეფასების სისტემას; და

ბ) თითოეულ სპეციფიკურ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშების სწორად გაგებისათვის.

ქვემოთ მოტანილია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ნიმუში.

### **შ.პ.ს „იმჯდის”-ის სააღრიცხვო პოლიტიკა**

ვამტკიცებ  
შ.პ.ს „იმჯდის”-ის დირექტორი  
„.....” .... 20X2

#### **1. ზოგადი დებულებები**

შპს „იმჯდი” რეგისტრირებულია ქ. ქუთაისის სავარასახადო ორგანოს მიერ „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად 20X2 წლის 20 დეკემბერს. სარეგისტრაციო ნომერი ————— მისამართი ქ.ქუთაისი, გოგებაშვილის ქუჩა № ————— სავარასახადო საინდუსტრიული კოდი —————

საზოგადოების ძირითადი საქმიანობებს წარმოადგენს (საქმიანობის ჩამონათვალი):

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგ კანონებზე და კანონქვემდებარე აქტებზე დაყრდნობით:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ”;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების რეგულირების შესახებ”;
- საქართველოს პარლამენტის არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტი (მსს).

მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებაში შედის 20X2 წლის 1 იანვრიდან და მუდმივად მოქმედებს საწარმოს ფუნქციონირების მთელ პერიოდში.

მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა შესაძლებელია შეიცვალოს მსს-ით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე პასუხისმგებელია საზოგადოების ხელმძღვანელი. იგი ქმნის ბუღალტრული აღრიცხვის სწორად წარმოებისა და ანგარიშების დროულად წარდგენის პირობებს. უზრუნველყოფს აღრიცხვა ანგარიშებასთან დაკავშირებული ყველა ქვედანაყოფის მიერ მთავარი ბუღალტრის მოთხოვნების დროულ შესრულებას.

**ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული წესები და მეთოდები**

**ძირითადი საშუალებები**

ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება მისი თვითლირებულებით, რომელიც შეიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო ბაჟს, დაუბრუნებად გადასახადებს, საწარმომდე ტრანსპორტირების, ადგილმდებარების მომზადების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს.

საკუთარი ძალით - სამეურნეო წესით, შექმნილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში ტარდება მისი შექმნის ფაქტობრივი თვითლირებულებით; ფინანსური იჯარით მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში ტარდება საიჯარო ქონების რეალური თვითლირებულებით, ან თუ უფრო ნაკლებია, იჯარის დასაწყისისათვის გაანგარიშებული მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშებაში აისახებიან აკუმულირებული ცვეთის თანხით შეცირებული თავდაპირველი ღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა იანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი თავდაპირველი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით; ძირითადი საშუალებების სალიკვიდაციო ღირებულებებსა და ცვეთის ნორმას ადგნენ საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დანიშნული კომისია.

### სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა

შეძენილი საქონელი შემოსავალში ტარდება შეძენის ფაქტობრივი თვითლირებულებით; საწარმოში წარმოებული პროდუქცია შემოსავალში ტარდება წარმოების თვითლირებულებით;

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა აღირიცხება პერიოდული აღრიცხვის მეთოდით; სასაქონლი-მატერიალური ფასეულობის თვითლირებულება განისაზღვრება მეთოდით „ფიფო“:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშებაში აისახება თვითლირებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

### მოთხოვნები

გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები აღრიცხვაში ტარდება ნომინალური ღირებულებით;

მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშებაში აისახება ნეტო (მოსალდნელი ანაზღაურების) თანხით, რისთვისაც მოთხოვნების კორექტირება ხდება საეჭვო მოთხოვნების თანხით; საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება წმინდა რეალიზაციიდან წარსული გამოცდილების გათვალისწინებით.

### საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის, საემისიო კაპიტალის, მიმდინარე და წინა წლის გაუნაწილებული მოგებისგან

საწესდებო კაპიტალის ოდენობა 150.000 ლარი დადგენილია წესდებით. **კალიფებულებები.**

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოუწეს საწარმოს;

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებით დანახარჯები მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა იყო გაწეული.

### შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი ფულადი სახრების, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის, ფაქტობრივად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება ნეტო ღირებულებით, მესამე პირის სახელით ამოღებული თანხების (დღგ, აქციზი) გარეშე;

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯი განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯის ფაქტობრივად დაფარვის მომენტისა;

შემოსავლები აღირიცხებიან და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით; ხარჯები აღირიცხებიან და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახებიან ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება ღივიდენდის გასაცემად და სხვა მიზნით დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით.

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი იანგარიშება სააღრიცხვო მოგებიდან და აისახება საგადასახადო ხარჯის სახით.

სააღრიცხვო მოგებიდან გაანგარიშებულ საგადასახადო ხარჯსა და საგადასახადო (დასაბეგრი) მოგებიდან გამომდინარე ბიუჯეტის კუთვნილ მოგების გადასახადს შორის სხვაობა აღირიცხება გადავადებული საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულების სახით.

## **21 . 8 . 2 . პსნები განმარტებები**

ფინანსური ანგარიშგების სწორად აღქმისათვის და მომხმარებელთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებისათვის, სტანდარტების მოთხოვნების შესასაბამისად, უნდა მოხდეს აგრერირებული მუხლებისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციების დამატებით გაშიფრა ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ამ მიზნით ფინანსური ანგარიშგების თიოეულ კომპონენტს უნდა გაუკეთდეს აღნიშვნა, შენიშვნის ნომრის მითითებით, რომლის დაწვრილებითი ინფორმაციაც გადმოიცემა ახსა განმარტებებში.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს:

- ა) ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლისა და საწარმოს მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ;

- ბ) ფასს-ის მოთხოვნებით გათვალისწინებული განმარტებითი ინფორმაცია, რომელიც უშეალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვაგან ასახული არ არის; და
- გ) დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უშეალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვაგან ასახული არ არის, მაგრამ აუცილებელია საწარმოს ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ელემენტის გასაგებად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები უნდა მომზადდეს შეძლებისდაგვარად სისტემატურად. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და სრული შემოსავლის ანგარიშგების, განცალკავებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგების (თუ წარდგენილია), საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების თითოეული მუხლი უნდა დამოწმდეს ჯვარედინად, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახული შესაბამისი ინფორმაციის მითითებით.

განმარტებითი შენიშვნები როგორც წესი, წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით, რაც მომხმარებელს დაეხმარება მოცემული ფინანსური ანგარიშგების გაგებასა და სხვა საწარმოთა ფინანსურ ანგარიშგებებთან შედარებაში:

- ა) იმის აღნიშვნა, რომ ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ის შესაბამისად;
- ბ) ყველა გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა;
- გ) დამატებითი ინფორმაცია უშეალოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (თუ წარდგენილია), საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების განმარტებისათვის ისეთივე თანმიმდევროვით, როგორც წარმოდგენილია თითოეული ანგარიშგება და მისი თითოეული მუხლი;
- დ) სხვა განმარტებები, მათ შორის:
- (i) პირობითი ვალდებულებები და უღიარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებები;
  - (ii) არაფინანსური შინაარსის განმარტებები. მაგ: საწარმოს ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა.

მაგალითისათვის განვიხილოთ ჩვენს მიერ მომზადებული შპს „იმედი“-ს ბალანსის შენიშვნები:

#### შენიშვნა 1.

#### ძირითადი საშუალებები

დასახულება	20X2	20X1
1. შენობები	23.670	X
2. მანქანა-დანადგარები	7.550	X
3. ოფისის აღჭურვილობა	1.650	X
4. სატრანსპორტო საშუალებები	2.560	X
5. შენობების ცვეთა	(12.800)	X
6. მანქანა-დანადგარების ცვეთა	(3.490)	X
7. ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	(780)	X

8. სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა (1.580) X

სულ: 16.780 X

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა გენერაცია 2.

<u>დასახელება</u>	<u>20X2</u>	<u>20X1</u>
-------------------	-------------	-------------

1. საქონელი	<u>5.980</u>	<u>X</u>
2. ნედლეული და მასალები	<u>2.345</u>	<u>X</u>
3. დაუმთავრებელი წარმოება	<u>1.350</u>	<u>X</u>
4. მზა პროდუქცია	<u>1.380</u>	<u>X</u>

სულ 11.055 X

საკაფერო და სხვა მოთხოვნები გენერაცია 3.

<u>დასახელება</u>	<u>20X2</u>	<u>20X1</u>
-------------------	-------------	-------------

1. მოთხოვნები მიწოდებილან მომსახურებილან	<u>15.000</u>	<u>X</u>
2. საეჭვო მოთხოვნების კორექტირება	<u>(2.3000)</u>	<u>(X)</u>
3. მოთხოვნები პერსონალთან საქვეანვარიშო თანხებზე	<u>145</u>	<u>X</u>
4. წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	<u>700</u>	<u>X</u>
5. მისაღები დივიდენდები	<u>1.200</u>	<u>X</u>
6. მისაღები პროცენტები	<u>525</u>	<u>X</u>

სულ 15.270 X

გენერაცია 4.

მოკლევადიანი ინვესტიციები

<u>დასახელება</u>	<u>20X2</u>	<u>20X1</u>
-------------------	-------------	-------------

1. მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	<u>1.950</u>	<u>X</u>
2. სახელმწიფო სახაზინო კაღალდებულებები	<u>10.000</u>	<u>X</u>

სულ 11.950 X

გენერაცია 5

ფულადი სახსრები

<u>დასახელება</u>	<u>20X2</u>	<u>20X1</u>
-------------------	-------------	-------------

1. ეროვნული ვალუტა სალაროში	<u>200</u>	X
2. ეროვნული ვალუტა ბანკში	<u>5.200</u>	X
3. აშშ. დოლარი ბანკში (23.800)	<u>4.186</u>	X
<b>სულ</b>	<b><u>9.586</u></b>	<b>X</b>

შენიშვნა 6.**აკუმულირებული მოგება**

დასახელება	20X2	20X1
1. გაუნაწილებელი მოგება	7.500	X
2. საანგარიშებო წლის მოგება	9.442	X
<b>სულ</b>	<b><u>16.942</u></b>	<b>X</b>

შენიშვნა 7.**საფაქტო და სხვა კალდებულებები**

დასახელება	20X2	20X1
1. მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	<u>15.790</u>	X
2. მიღებული ავანსები	<u>3.600</u>	X
3. ვადასახდელი ხელფასები	<u>1.720</u>	X
4. ვადასახდელი ავლდებულებები	<u>3.344</u>	X
5. ვადასახდელი პროცენტები	<u>1.515</u>	X
<b>სულ</b>	<b><u>25.969</u></b>	<b>X</b>

ბალანსის შენიშვნები ემსახურება აქტივებისა და ვალდებულებების სრუქტურის შესახებ ინფორმაციის გახსნას ორი შესაბამისი პერიოდისათვის.

ანალიზიურად უნდა მოხდეს ინფორმაციების გახსნა ფინანსური ანგარიშების სხვა კომპონენტების (მოვებისა და ზარალის ანგარიშების; კაპიტალის მოძრაობის ანგარიშების და ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშების) მიმართ.